



# ბიულეტენი


აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის  
საინფორმაციო ორგანო

№4 (70) სექტემბერი-ოქტომბერი 2014 წელი



წმ. აბდოყუმ ხაშაბი

სახეობის ქრისტიანული საარსებო ნიჟარეფიშვილის რძეობის...



# სახეობის ქუჩაზე საბავშვო ხუ შიშვენიერების ღმერთმა...

სულიერებისა და კულტურის ცენტრი კიდევ ერთხელ გახდა ცენტრის სასურველი სტუმრისა და მეგობრის არქიმანდრიტ ადამის (ახალაძის) წარმატების თანაზიარი. რამდენიმე თვის წინ მამა ადამის წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემიით დაჯილდოვებასთან დაკავშირებით ცენტრის მიერ მოწყობილ შეხვედრაზე გაიხილა ინფორმაციამ, რომ არქიმანდრიტს მზად ჰქონდა აფხაზეთის თემისადმი მიძღვნილი ლექსების კრებული. იდეამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში და სულ მალე მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ არქიმანდრიტ ადამის (ვახტანგ ახალაძის) წიგნის „სოხუმის ქუჩაზე“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც აფხაზეთის მთავრობისა და საქართველოს საპატრიარქოს თამარ მეფის უნივერსიტეტის ეგიდით მოეწყო. წიგნი აფხაზეთის ტკივილს მიძღვნილია. მასში შევიდა მამა ადამის ლექსები, პოემები, მოთხრობები, ესსე, სცენარი, დოკუმენტური პროზა...

პრეზენტაციას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია და მთავრობის წევრები დაესწრნენ.

“ეს წიგნი მთლიანად აფხაზეთს ეძღვნება, - წერს ავტორი წინასიტყვაობაში. - იგი ეძღვნება აფხაზეთის გაუსაძლის მონატრებას და იმისთანა ტკივილს, რომლის მსგავსი სხვა არაფერი განგიცდია არასოდეს.

ეს წიგნი ლოცვაცაა და გახსენებაც, სადღეგრძელოც და ხმამაღლა ნათქვამი ფიქრიც, სიზმრად ნანახი კოშმარიც და ცხადში შეგრძნობილი იმედის გაკაფებაც...

აფხაზეთი!  
განა იგი გულივით არ ფეთქავს საქართველოს წმინდა სხეულში? გულივით იკუმშება, მერე ისევ იშლება, გვტკივა, გვეწურება, ხანდახან გვეჩვენება, რომ ჩერდება და მაინც ვგრძნობთ, თუ როგორ ცემს, სიცოცხლეს გვჩუქნის, სისხლის ჩუხჩუხით გვკვებავს და თავის წიაღში ჩასახული სიკეთით, სიყვარულით, სასოებით, რწმენითა და სიხარულით გვავსებს!..

... წინამდებარე წიგნის გამოცემის იდეა ჩემს დიდ მეგობართან, უფროს დასთან, უსაყვარლეს და შეუდარებელ ადამიანთან - ქალბატონ სვეტლანა ქეცბასთან საუბარში დაიბადა. მერე განმტკიცდა და უკვე გადანყვეტილებად იქცა იმ შეხვედრაზე, აფხაზეთის სულიერებისა და

ჭიათურის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბა:

- „ მე ხშირად ვფიქრობ, რა ურთიერთკავშირია ზნეობრიობასა და პოეზიას შორის, მიდის თუ არა პოეზია ზნეობრიობისაკენ, იძენს დიდებ-



კულტურის ცენტრმა რომ მომიწყო გიორგობის დღესასწაულზე...

... ქართველთა და აფხაზთა ძმობაზე აქ ბევრს არაფერს ვამბობ. აკი ეს ძმობა მთლიანად სიყვარულითაა გაყვანილი. ამ სიყვარულს კი „მალვა უნდა“, დამარხვა და გაფრთხილება. მჯერა, რომ ამ სიყვარულს ჩვენი ხალხების ისტორიული კეთილშობილება დროისა და სივრცის სამანებს დაარღვევინებს და გადაალახვინებს, რათა მარადისობის ბინადრად აქციოს!..

... წუთითაც არ ვეთხოვები სოხუმის ქუჩას!

წარსულშიც, აწმყოშიც, მომავალშიც... ჩემი გული ყოველთვის შენს მისამართზე დაიდებს ბინას - სოხუმის ქუჩაზე, როგორც მისი მარადი მცხოვრები!

ეს ჩემი ბედისწერაა - ბედნიერი ბედისწერა!

სოხუმის ქუჩაზე სიარული ნუ მოგვიშალოს ღმერთმა...”

სალამოზე სიტყვით გამოვიდნენ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, საჩხერისა და

ულებას, თუ ზნეობრიობა კარნახობს პოეტურ სტრიქონებს. ვფიქრობ, რომ მამა ადამთან ზნეობრიობა და პოეზია გაერთიანებულია. ის მრავალწახნაგოვანია თავის პოეზიაში, საუბრობს ადამიანზე, მის ტკივილზე, სევდაზე, სიხარულზე. იგი შესთხოვს უფალს, მიანიჭოს ბედნიერება ადამიანებს, მაგრამ, ჩემი აზრით, მთავარი მის შემოქმედებაში არის ადამიანების სიყვარულთან ერთად სამშობლოს სიყვარული. მას სამშობლოს ყოველი კუთხე უყვარს, მას უყვარს აფხაზეთი - ათონიც, გუდაუთაც, გაგრაიც. ვფიქრობ, ეს უფლის განგება იყო, რომ იგი სოხუმის ქუჩაზე დაიბადა და მას წინასწარ განესაზღვრა, რომ როგორც ქართველს, მაღალი რანგის პიროვნებას, ესაუბრა იმ ტკივილზე, იმ ტრაგედიაზე, რომელიც განიცადა საქართველომ, განიცადა აფხაზმა ხალხმა...”

არქიმანდრიტმა ადამმა წაიკითხა საკუთარი ლექსები. სალამოზე ჟღერდა აფხაზური და ქართული ჰანგები თემურ ნიკლაურის, ელდარ გენაძის, ანსამბლ „რუსთავის“ შესრულებით.

# პარაქლისი „საქართველოს იმედის“ ხატთან

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი მუდმივად მონაწილეობს სხვადასხვა საეკლესიო რიტუალში - დევნილთა სკოლებში მოძღვრის მიზრძანება და მოსწავლეთა და მასწავლებელთა დალოცვა, კომპაქტურ ჩასაღებებ-

ში ხატის მიზრძანება, ოჯახების კურთხევა, პარაკლისები და სხვ. 25 სექტემბერს წმ. სამების საკათედრო ტაძარში „საქართველოს იმედის“ ხატთან პარაკლისი გადაიხადა თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის

წინამძღვარმა დეკანოზმა ბიძინამ (გუნია). პარაკლისს ესწრებოდნენ აფხაზეთიდან დევნილები, მამა ბიძინას მრევლის წევრები. მოძღვარმა პარაკლისის შემდეგ ზეთი სცხო დამსწრეებს და დალოცა ისინი.

ნელს, ივნისის დასაწყისში, ერთგვარ სასწავლო წლის შემაჯამებელ კონცერტად იქცა საქართველოს კომპოზიტორთა ყოველწლიურ „ბავშვთა და მოზარდთა მუსიკის კვირეულის“ ფარგლებში სულიერებისა და კულტურის ცენტრის მიერ სხვადასხვა მუსიკალური სკოლის მოსწავლეთა

## „ჩემი აფხაზეთი“ - 2014

მონაწილეობით შედგენილი პროგრამის საჯარო ჩვენება. კონცერტში „ჩემი აფხაზეთი“ მოვიწვიეთ სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის (ნიჭიერთა ათნლედი), ქ. თბილისის მერიის ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი 1-ის“ აღსაზრდელები: ლევან ჩხეიძე, თამარ კიკალიშვილი, ნინო და ეფემია ბუკიები, მარიამ ჩხეიძე (კონცერტმანისტერები:

ნინა უსტინოვა, ზურაბ კვერნაძე, მანანა ბერულავა), ასევე სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის ბავშვთა გუნდი, ხელმძღვანელი დავით ოკუჯავა. შესრულებული იყო ქართველ კომპოზიტორთა - გურამ ბზვანელის, ვაჟა აზარაშვილის, ოთარ თაქთაქიშვილის, ალექსი მაჭავარიანის, ლალი საყვარელიძის, მანანა მერაბიშვილის, ვაჟა დურგლიშვილის ნაწარმოებები. მსმენელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ალექსი მაჭავარიანის „დედა ენამ“, რომლის შემსრულებელი პრემიერის შემდეგ ჩვენი სამუსიკო სასწავლებელი გახდა.



# აფხაზეთის მონაცემები

არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე)

ქუბეჩუ

ნუ, სუსხო...  
დაწხრი და დანავლდი.  
ნუ ურჩობ, დანებდი მზეს,  
ნუ, პურო...  
გაათიანასდი  
(გვიყოფენ ოზლებიერ კვერს)!  
ნუ, გზაო...  
დამოკლდი, დაღმართდი,  
ფეხს ნუ მომიკვთავ დღეს.  
ნუ, კარო...  
იადამიანე!  
არ ჰკლა! განუდექი კერპს!  
ნუ, სისხლო...

იჩქეფე!..  
შეჩერდი!..  
ნილოდ ნუ დანიწკლავ ზზეზს.  
ნუ, საჭო...  
შეუნდე! შეუნდე!  
ჩვენს ნულა აოტებ ერს  
და ნუ მიგვატოვებ  
და ნუ გაგვიმეტებ -  
წმიდას ნუ წარგვჭარებ სერს...  
1993 წლის  
ოქტომბერ-ნოემბერი

ჯიანი დასწერე

ო, საქართველო, საქართველო  
დამილორე.

მამავ და ზურავ!  
სისხლისგან დაწლილოს, ჩემს  
სამშობლოს  
ოთხივ კუთხით  
აკურთხეშს მზეურა.  
ლოისის ქედიდან ღრუბლოვანამდის  
ასვეტილო  
გოდებს სანათა,  
იმისმა კენესამ, თუ ჭვირაგის  
ფარის ძაღლამ  
- რამ გაანათა?  
ქართველის გული, მისი სული  
დამილორე.  
საბაოთ ღმერთო!  
იქნების, წამლად აფხაზეთი,  
სამაჩაბლო  
შემოგვიერთო!  
მამინ ბაღლოზის განყვეტილო

კინოფირი  
განმეორდება,  
თორემ წარსული ლურჯ ტალღებზე  
ჩამონოლოლო  
ლამეს შორდება.  
რა ფლევანდელი, მომავალიერ  
დამილორე.

ქრისტე უფალო!  
ტყე-მინას, ყანას მაფლი აუხე,  
წყალს და ნვიმას,  
რიყეს უბრალოს...  
მტრებმა ჰერეთის, ოთხთას,  
სხალოთას,

ტაოს გული  
ტავრით დასერეს...  
რის თაღს მიღწეულ მხარას  
წხრა თავს,  
ეთენულფს, ჯანლას  
ტვარი დასნერე!  
ღალაჭით დაღლილოს, ჩემს  
ეთერ მამულს

ეხუტება  
იმედად მზერა,  
ჭირისგან ქართლის გადარჩენას  
ჭირისუფლებს  
ჰპირდება ზერა!  
ლიხის ქედდან ღრუბლებამდის  
ასვეტილი

გოდემს სანათა,  
იმისმა კვენესამ, თუ ტვირავის  
ფარის ძალამ  
- რამ განათა?

2012 წლის  
12-14 აპრილი

### თორემ წას გაძლუბ

მოგისაკლისე, წყავის ზუჩქო,  
ბეთანის ეზოს

გადაღმა  
მოგისაკლისე, ხმელ ფერდობზე -  
კი არ გინატრე.  
შენ, კოჭრის ტყვიავ, ეშერასთან  
შემომეფეთე.

აქ არ გელოფი:  
შემომეფეთე, როგორც ოფესლაერ,  
იღბალზე ადრე.  
შემომეფეთე:  
წყავის ზუჩქების ხშირ ფესვებზე  
დაჰკიდე

კუზო ჩემი ძვლების,  
როდოდენდრონის ყვავილები  
დამინთე სანთლად...  
შემომეგებეთ, რინის ტბავ  
და გუშისთის წყალო,  
სამურზაყანოს წყაროებო,  
ნებელდის მხარეც...  
შემომეგებეთ,  
გისაკლისებთ,  
შემომეფეთეთ!

შემომეფეთე:  
ამ წლის სეფე-თვეს,  
ზამთრის სეფე-თვეს  
ჩემს თვალოთ უძილოთ,  
თქვენს უნახავთ,  
შემომეფეთე...

2014 წლის  
1 ივნისი

### ჭაბუკი ქონივა

#### ზღვისპირა ჰალმას ჩამოყვლა ცოცა

კვენის ლაშქარი ნატყვიარ ხეთა  
და მაგნოლიებს ფეთქვა სწყურიათ,  
ომია... დაჭრილ სოხუმს  
რომ ჰხედავს,

წყალტვემ წრემლებს  
ღვრის დოსკურია.  
წვიმდა... ატემბი ირვლიდენ  
ფარჩას,

აფხაზს დაემნა გზა აბუყავაში...  
თვითმკვლელობისთვის ტყვია  
არ დარჩა,

ისე მოქერა ქართველოთ ალყაში.  
ფიწობს, ხასიათს არ  
იჩენს მდედრულს,

თამარის ხიდზე წერხლის სვეტია:  
ამ ტყვეს რა ვუყოთ? -  
ჰკითხავენ ერთურთს,

ჩვენებს ხორავდა, დასახვრეტია!  
ზღვისპირ გიჟივით წრიანლებს ქარი,  
პალმების ცოტემს

ანვალემს დიდხანს...  
სანამ გესროდე, მითხარი გვარი,  
იქნება მერნოს, ქართველი  
ჰკითხავს.

ამბობს... ნუ ლელავ,  
დამშვიდდი ზღვაო,  
ნუთუ მსგავსი არ გაგიგონია...

ჩემი მოგვარე ყოფილხარ, ძმაო,  
მაგრამ რას იზამ, ომი ომია.  
შეჩერდა, კარგი, გჩუქნი  
სიწორხლებს,

თვალი დახუჭა, ნასვლა არაღა...  
ქართული გვარის ფასი იყოფე,  
თქვა და ნაგანი წაში დაწლათ.  
სოხუმში ისევ საფლავებმს თხრიან,  
შვილმკვდარ ქალივით

გაჰკივის ჭოტი...  
და იმ მეომრის სანილო ტყვიამ  
უროდველო პალმას მოტეხა ცოტი.  
თრთის აფხაზეთი,

სიყვარულს ითხოვს,  
ვერ უძლებს უწხო ცოლთა  
თარქემს,

სროლის წინ ერთურთს გვარი  
რომ ვკითხოთ,  
პალმა დარჩება ცოტის გარეშე!

### მეგი მოლოდინი

#### ზღვის ცალკამ მიხსია

ზღვის ცალკამ მიხსია  
ოფესლაერ ჩუმად,  
თან ატარეო ხსოვნა მარადი...  
თითქოს უგრძობდა გული  
წინასწარ,

რომ დიდხანს, დიდხანს კვლარ  
ვნახავდი:...

მას შემდეგ წლებმა ჭაპანი წიეს,  
და მახედებენ როდესაერ უკან,  
ნიადავ, ტალღის ნათქვამი მენვის,  
ნიადავ, ტალღის ტკივილით  
ვსუნთქავ:....

ვიერი, რომ გედის ლოდინით მიწდი,  
დიოსკურიავ, მარჯნის სანთელო,  
მოგნატრებია გემების სიძლი  
რეწენა სოხუმის მღაშე საყელოვ!  
და, მომიტყეე, რომ ვარ უძღური,  
ვერ მოვიარე, ვერ დაგაფანე,  
ვერ დაგიაშე ღია წელსულები,  
ზღვის ნიამორო, უფლის ქარაფზე!  
უშენოდ თითქოს ვარ და არაერ ვარ,  
და თუ კი თითქმის აღარ  
ვარსებობ,

არაფრად მიღირს, ქართულო მიწავ,  
შენი სამოთხე უაფხაზეთოდ!...

#### სოხუმის წიმა

„აფხაზეთის წვიმა მიყვარს იერი,  
რად?..“

მგოსნის ხმა აქვს, როს  
ფოთლებზე ხმაურობს“

#### გალაკტიონი

სოხუმის წვიმავ, კვლავ  
ჩემში წვიმობ,

უფლის ჩამორილო თაიგულო...  
ნანწავებს იმკობდი ზურმუხტებით,  
მანდობდი შენეულ საიდუმლოს:...  
ლოურჯო აკვნის სხივო,

ზეერის ჩვილის,  
წრემლო მითიური ფასკუნტების,  
სოხუმის წვიმავ, ჩემში ტირი,  
ურჩად რომ წვიმობ, გამუდმებით:...

„ფოთლებს მგოსანვივით“ ეხებოდი,  
რედან ჩამოგყავდა მგალობლები,  
მასხოვს, მარეკვებდა სანაპირო  
შენი დალალებების სამოთხეთი:...

რისკრის ღვინოსავით ჰეშვით  
გსვამდი  
სოხუმის ზეერიურო ხმიანებავ,  
შენი საოწარი ზარ-წყრიანლის  
გალობას შევიგრძობდი ზიარებდად...  
ახლა კი, ნოსტალგიით დაღალულის

ხილვა ხარ, ნანვიმარო მავნოლიავ,  
წვიმავ, ოლონდაყ ნამიყვანე,  
ზღვიდან ზურმუხტემს ამოვიყვან!...

მონაცრება

ზღვასთან ახლოს ჩემი სახლი,  
კიპარისი, ნაძვი,  
სსოვნას კარგი შევუნახე,  
ფანარჩენი დავწვი:.....  
იმ ზართლომეს აღარ ვუძვედ,  
ჩემს ფიქრებში ურჩად,  
მენატრება მე გამზორფელი  
ჭვუბურიას ქუჩა!...  
ზღვასთან ახლოს ჩემი სკოლა,  
წინ შატალოს ზალი,  
იქვე კინო-თეატრი და  
სიუბანვილე ლალი.....  
იქაყ „ჩიბურეკის“ კაფე,  
ლიანა და მარი,  
წაწას სუპერ-გაკვეთილი,  
„მე და ლამე“ წყნარი....  
ზღვასთან ახლოს ძველი სახლიყ,  
გხიბლავს ერთი ნახვით,...  
სტუდენტობის ტკბილი კახხა,  
ხელოვნების არხი,  
ამრისპირა კაკანათი,  
თოლიეების მარში.  
ყავა-ხანის სურნელი და  
მავნოლია ქარში:  
ტალოისპირთან ერთი სკამიყ,  
მომლოდინე სკამი,

წყვილოემ უხმობს, შეაჩერონ,  
ზედნიერი ნამი...  
ყველა დარდი-მოგონება  
ქარს მივეყი, დავწვი,  
მენატრება ჩემი ეზოს  
ნანვიმარო ხავსი.

თამარ იაშვილი

\* \* \*

თითქოს მზე ქვიშაზე  
შეყვინდა ისევე,  
მეძახის: გამომყევ,  
პირიზონტს იქით.  
მე კი ზღვას და პალმებს  
კერაფრით ვეღვი  
და მიაფვილოდებ ნარსულზე ფიქრი.  
მე იქ ვარ, საითაყ  
ქარიან ლამეში  
თოვლს ფანტავს  
და ღრუბლებს  
გარეყავს შორით,  
ნატვრა და ნარსული  
ფერების გარეში.  
ეზო და სახლისყენ  
ზილიკი სწორი.

\* \* \*

გამომინოდე მთრთოლვარე ხელი,  
ვიაროთ ერთად...  
შევაველოთ ზოლო,  
შემკრთალი მზერა

წერხლომოკიდებულ ფოთლებს სუნიო  
გაყლენთილო ქალაქს.  
და მონატრება ჩაუძქრალ ფერთა  
ნავილოთ დარდად.  
სანამდე ზამთრის პირველი სუსხი  
დაისადგურებს -  
დაინყებს ქარგვას.  
ჩამოთოვს სანამ,  
სანამ კიდეყ შემოდგომა,  
იქით ნავიდეოთ,  
სადაყ ხეები მონყენიო დგანან.

\* \* \*

სისხლის ნაკვალევს და  
ნატვრის ტალოლებს  
მე შინისაკენ მიყყავარ ისევე,  
დაუსრულებელ ზილიკებს იქით,  
უსასრულო და ლურჯი რისკენ,  
იქ თოლიები დარჩენ მხოლოდ და  
საფლავის ქვეზე ჩემი ნარსული  
აქეთ ნამომყვა, რიკოთს გამოლმა  
ეს უყარება, სევედის ასული.  
სიზმარში ხშირად ნახვის სურვილი  
და სინანული ამდევენბია,  
აღმათ ტკივილი იღვიძებს, თორემ  
აღარასოდეს გამიბნეოთა  
სისხლის ნაკვალევს ავედევენბოდი  
და მომეფანტა გზებზე იები,  
სიწრწხლისათვის და სასიკედილოდ  
სხვა სანაპიროს არ ვეძიებდი...  
... ოლონდ მოვიდე, ხელიო შევეხო,  
ვიყი, ყველაფერს მაპატყენბოდი.

ყაზბოდები მამა ვაზოიელის ცხოვრებელს

„სულელი იგი ღმრთისად უბრძენეს კაცთა არს“  
(კორინთელთა 1, 25)

მამა გაბრიელი დაიბადა 1929 წლის 26 აგვისტოს, თბილისში, თეთრინყაროს ქუჩის 11 ნომერში, წმიდა ბარბარეს ეკლესიის მახლობლად. ერისკაცობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაძე იყო. მამა ადრე დაეღუპა და ახლობლები მის სახელს ეძახდნენ. დედა - შემოდგომში მონაზონი ანა, გარდაიცვალა 2000 წლის 26 აპრილს, ვნების კვირაში. დაკრძალულია წმიდა ნინოს სამთავროს დედათა მონასტერში. ძმა ადრევე გარდაცვილია. ჰყავს ორი და. სწავლობდა თბილისის 24-ე ვაჟთა სკოლაში 6 წელი. მეზობელი ყენია ქობელაშვილი ასე იგონებს მის ბავშვობას: „ერთად დავდიოდით საბავშვო ბაღში, არ მახსოვს მასწავლებელს მისთვის შენიშვნა მიეცა,

დაჯდებოდა კუთხეში და ასანთის ღერებით აშენებდა ეკლესიას. მისი ერთადერთი გართობა ეს იყო. რომელი დღეები არ ვიცო, მაგრამ კარგად მახსოვს, ზოგჯერ რძიან ფაფას არ ჭამდა. შიმშილის წლები იყო და ყველას გვიკვირდა უჭმელი როგორ ძლებდა. ისედაც ძალიან ცოტას ჭამდა, მუდმივად ტოვებდა საჭმელს“. ბავშვობაში მეზობლების ჩუბს შეესწო; ერთმა ქალმა უთხრა მეორეს, რა ჯვარზე მაცვი ქრისტესავითო. გაკვირვებულმა ვასიკომ იკითხა - რატომ აცვეს ქრისტე ჯვარსო? პასუხი ვერავინ გასცა, უთხრეს ეკლესიაში წასულიყო. სამწუხაროდ, ისიც დაკეტილი დახვდა. ყარაულმა ურჩია წაეკითხა ქრისტეს ისტორია. ამის

შემდეგ დაინყო ფულის შეგროვება და ღვთის წყალობით შეიძინა წიგნი, რომლითაც ქრისტეს ცხოვრებას გაეცნო. ღვთისაგან ბოძებული სულიერება ბავშვობიდანვე უსწრებდა წინ მის ფიზიკურ ზრდას. ამიტომაც საკმაოდ ადრეულ ასაკში გამოეყო ოჯახს, ეზოში თავისი ხელით ააშენა სენაკი ალიზით, ისე პატარა, მხოლოდ თვითონ რომ შეძლებდა დაძინებას და იქ გადავიდა საცხოვრებლად. შიგ სარეცელიც კი არ ედგა. დედას შეეცოდა და მის დაუკითხავად იმ დროს შეიტანა ბაღში, როცა თვითონ სენაკში არ იმყოფებოდა. მოვიდა თუ არა, ბაღში ნაჯახით აკუნა და განრისხებულმა თქვა: „როგორ (გაგრძელება მე-7 გვ.)

(დასაწყისი მე-6 გვ.)

გაბედე ბერის სენაკში უნებართვოდ შესვლა, უფალი ჩვენი - იესო ქრისტე იმდენად ღარიბი იყო, თავის მისადრეკელიც კი არ ჰქონდა“.

მამა გაბრიელმა 12 წლის ასაკში უკვე კარგად იცოდა სახარება. სწორედ ამ დროს მივიდა სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში. დედებმა დააპურეს, მაგრამ ღამე არ გაათევიეს. მადლი ღვთისა მასში იმდენად დიდი იყო, სახლში არ წავიდა, ღამე ჭიშკართან გაათია და დილით ღვთისმშობელს სთხოვა: „ამ ქვეყნიდან ისე ნუ გამიყვან, აქ რომ სენაკი არ მომცე“. უსმინა ღმერთმა და სიცოცხლის ბოლო წლები სამთავროს მონასტერში გაატარა. იგი კოშკში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ეს კურთხევა მან (როგორც თვითონ ამბობდა) ღვთისმშობლისა და ორი პატრიარქისაგან მიიღო.

დედის მუცლიდანვე გამორჩეული ჭურჭელი ღვთისა ეკლესიით საზრდოობდა. როდესაც გაინვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში ბათუმში, შევიდა ტაძარში და ნიკოლოზ სასნაულთმოქმედს სთხოვა: დრო მიეცა ეკლესიაში სასიარულოდ. ღვთის წყალობა მან უსწრაფესად მიიღო. მეორე დღესვე გამოიძახეს და უთხრეს: დამტარებლად დაგნიშნეთო. დაკისრებულ მოვალეობას მორჩებოდა თუ არა, მაშინვე ტაძარს მიაშურებდა. იქ ისწავლა ხუცური დამწერლობა და ბნელჟამობის დროს სარდაფში გადამაღული საეკლესიო წიგნებიც აღმოაჩინა. მღვდელმა ჩუმად აზიარა საკურთხეველში. ოთხშაბათს და პარასკევს მუცელს აიტკივებდა და ხორცს არ ჭამდა. ასე გაატარა მან ჯარისათვის განსაზღვრული დრო ნახევრად ჯარში და ნახევრად ეკლესიაში.

ჯარიდან დაბრუნებულს ოჯახის წევრებმა ცოლის შერთვა დააძალეს; ერთი ღამეაზი გოგოც აჩვენეს. მან ქუდიც კი არ მოიხადა, ისე დაჯდა, სიტყვა არ წამოსცდენია, ადგა და გავიდა გარეთ. დაჟინებული თხოვნა ოჯახის წევრებისა რომ აეცდინა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წავიდა, რათა თვითონვე ეთქვათ უარი მის ცოლობაზე. ექიმებს უკვირდათ: აქ ხალხი ძალით მოჰყავთ, ეს კი თავისი ფეხით მოვიდაო. თუმცა, იმ უღმერთოების ჟამს, დაიწყო თუ არა ქრისტეს დიდებაზე ქადაგება, მაშინვე დაუსვეს დიაგნოზი: სულიერ ავადმყოფად ჩათვალეს და სახლში მხოლოდ დედის ზედამხედველობის

ქვეშ გაუშვეს.

სწორედ ამ დროს დაიწყო თავის ეზოში საკუთარი ხელით ეკლესიის აშენება. იგი ხშირად ამბობდა: „ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის, მისთვის ღმერთი ვერ იქნება მამა“.

რწმენისაგან დაცლილი იმჟამინდელი ხელისუფალნი ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს და ფიზიკურად ანადგურებდნენ ღვთისმსახურებს. ამიტომაც ხშირად ანიოკებდნენ ახალი ეკლესიის ამშენებელს და მის დანგრევას აიძულებდნენ.

იყო შემთხვევები, როდესაც მივიდოდნენ, რაღაც ნაწილს ეკლესიისა და ანგრევდნენ, ხოლო მეორე დღეს ჩუმად ფულს სთავაზობდნენ, რაც დავანგრიეთ, აღადგინეთო.

ერთხელაც, მთავრობის რამდენიმე წარმომადგენელი მივიდა მასთან. მამა გაბრიელს არ გაჭირვებია მათი მიზნის ამოცნობა. არც აცალა ხმის ამოდება, ისე უთხრა: „მე არ დავანგრევ და თქვენ თუ შეძლებთ, დაანგრეთ“. შეშინებიათ, წასულან და მუშები მოუყვანიათ. ბერს მათთვის კიდევ უთქვამს: „ბრძანების გამცემი უფრო სცოდავს, ვიდრე შემსრულებელი“. ამჯერად უფრო შეშინებიათ და წასულან.

ასე გადაარჩინა ღვთის შიშმა მისი ეკლესია მთლიანად დანგრევას.

ბერი გაბრიელი ღვთის გზას ბავშვობიდანვე დაადგა, მაგრამ რომ განემტკიცებინა ყოველივე და ოფიციალური მსახური ყოფილიყო დედა ეკლესიისა, 1954 წლის 25 დეკემბერს ქუთათელ-გაენათელ ეპისკოპოსს გაბრიელს (ჩაჩანიძე) მიმართა:

„გთხოვთ, მიმიღოთ თქვენს საკათედრო ტაძარში მსახურად, რადგან სიყრმიდანვე ჩემს მიზანს ეს შეადგენს“.

მღვდელმსახურმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა და 1955 წლის 1 იანვარს ტრაპეზის მომვლელად და დღის მეთვალყურედ აკურთხა.

მანამდე მამა გაბრიელი 2 წლის მანძილზე მოღვაწეობდა სიონის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, რასაც ადასტურებს მის მიერ დანერგული „უმდაბლესი თხოვნა“.

„სიყრმიდან მტკიცედ მაქვს შთანერგული ვიყო მსახური ჩვენი წმიდა დედა ეკლესიისა, ამიტომაც უმდაბლესად გთხოვთ ჩემი უღირსების ხელდასხმას თქვენი საკათედრო ტაძრის დიაკონის შტატგარეშე ადგილზე, რადგან გახლავარ მეორე კატეგორიის ინვალიდი. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ მისი უწმინდ-

ესობის მეთვალყურეობის ქვეშ ორი წელი ვმსახურობდი სიონის საკათედრო ტაძარში წმინდა ტრაპეზის მომვლელად და ტაძრის მეთვალყურედ, ვეხმარებოდი წირვა-ლოცვაში“.

ეს თხოვნა დათარიღებულია 1955 წლის 25 იანვრით.

რამდენიმე დღის შემდეგ დაინერა: „ჩვენება დიაკვნად კურთხევადისა“.

„1955 წლის იანვრის 30 დღესა ქუთაისის პეტრე-პავლეს ტაძრის მთავარ-დიაკონის შტატგარეშე ადგილზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მეტქისედეკის მიერ დანიშნულმა გოდერძი ვასილის-ძე ურგებაძემ ჩვენების ჩამორთმევისას აჩვენა:

1. შობიდან ვარ 25 წლისა.
2. მისწავლია თბილისის 24-ე ვაჟთა სკოლაში 6 კლასი და საღვთო წერილი სიონის საკათედრო ტაძარში.
3. არა ვარ შეუღლებული არცერთჯერ.
4. აღსარებით მართლმადიდებელი ვარ და მწვალებლებთან არა მაქვს სარწმუნოებრივი დამოკიდებულება.
5. რომელიმე მძიმე დანაშაულისათვის საპრობილემი არა ვმჯდარვარ და საზოგადოდ სასულიერო ხარისხში შესვლის დამაბრკოლებელი საქმე არა მაქვს რა.
6. დიაკვნად კურთხევას ვეძიებ სადიდებლად ღვთისა და ცხოვნებისათვის სულისა, გულწრფელი განზრახვით, რომ ვემსახურო წმიდასა ეკლესიასა, როგორც ბრძანებენ საეკლესიო კანონები და წმიდა მამები.

ამისთვის ვალდებული ვარ ყოველივე ღვთისმსახურება და ლოცვა აღვასრულო ეკლესიის ტიპიკონისაებრ კრძალულებით, ხოლო კვირაობით და უქმე დღეებში თვინიერ პატივსადავებ მიზეზისა არ მოვაცდინო წირვა-ლოცვა, საღმრთო წირვა-ლოცვა შევასრულო მომზადებულმა.

განვამტკიცო მრევლი ჩემი მართლმადიდებელ სარწმუნოებასა ზედა და კეთილმსახურებითა და ყოვლისღონისძიებით ხელი შევეწყო მათ შვილთა სარწმუნოებისა და კეთილმსახურებისა შესწავლაში საღმრთო სჯულის სწავლებით და მღვდლური ხელმძღვანელობით.

ცხოვრება ჩემი წარემართო, როგორც შუჭფერის ტრაპეზის მსახურს,

(გავრძელება მე-8 გვ.)

(მე-7 გვერდიდან)

არ მივცე მრევლს ჩემი ყოფაქცევით მიზეზი დაბრკოლებისა, ვიზრუნო ჩემდა რწმუნებულის კრებულისა, ქვრივთა და ობოლთათვის.

საკურთხეველში და ტაძარში დავიჭირო თავი შესაფერისად ადგილის სინმიდისა და სხვებსაც შთავაგონო სინმიდის პატივისცემა.

მსახურება განვვლო პატიოსნად, ღირსად ჩემი მალაწოდებისა, არ დავამცდრო იგი და უღირსი ყოფაქცევით არ დავაბრკოლო მორწმუნენი.

ჩვენება ჩამოვართვი: ნიკოლოზ ბერეკაშვილმა.

ამ ჩვენებაშიდ მოხსენებულ გოდერძი ვასილის ძე ურგებაძეს აღსარება ვათქმევინეთ და მას არავითარი დაბრკოლება არა აქვს დიაკონად კურთხევისათვის“.

ქუთაისი, 30 იანვარი, 1955 წელი. იმავე დღეს მამა გაბრიელმა დაწერა „ფიცის ფურცელი“:

„მონოდებული დიდსა ამას მსახურებასა მღვდელობისასა აღუთქვამ და ვფიცავ ყოვლად შემძლებელსა ღმერთსა, მისის სახარებისა და ცხოველმყოფელის ჯვარის - მსურს გულმოდგინეთ შეწვევითა ღვთისასა განვვლო მსახურება ესე ღვთისა სიტყვისა, ეკლესიის კანონთა და მთავრობის ჯერჩინებათა თანახმად: საღმრთო მსახურებათა წმიდა საიდუმლოთა შევასრულებ ეკლესიისა გულმოდგინებით, და არა თვითნებობით შეცვლილად; სწავლასა სჯულისასა დავიცავ და სხვათაცა გადავცემ წმიდისა მართლმადიდებელი ეკლესიისა და წმიდა მამათა ხელმძღვანელობისა ქვეშე: ჩემსა მზრუნველობისა რწმუნებულთა სულთა დავიფარავ მწვალებლობათა და განხეთქილებათაგან, ხოლო ცთომილთა შთავაგონებ და დავაყენებ გზასა ჭეშმარიტებისასა; ცხოვრებასა ჩემსა წარვმართავ კეთილსინდისიერებით, ამაოთა მსოფლიოთა ჩვეულებათაგან განრიდებით, სიმდაბლით და სიმშვიდით და ღვთის სათნოთა ქცევითა სხვათაცა აღვძრავ კეთილმსახურებად, მიზნად მოღვაწეობისა ჩემისა დავისახავ არა პირად სარგებლობასა, გინა პატივისა, არამედ ღვთის დიდებასა, ეკლესიის კეთილწარმატებასა და მოყვასთა ცხოვრებასა, რასა შინა შემწე მეყოს მე უფალი ღმერთი თვისითა მადლითა, მეოხებითა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელისათა და ყოველთა წმიდათა; დასამტკიცებლად ამა ჩემისა ფიცისა ვემთხვევი სიტყვათა

და ჯვარსა მაცხოვრისა ჩემისა. ამინ. ფიცი მივიღე: გოდერძი ურგებაძე.

ფიცი მივალბინე და აღსარება ვათქმევინე და დამაბრკოლებელი მიზეზი დიაკონად კურთხევისათვის არა რაი ვპოვე. ქუთაისის პეტრე-პავლეს საკათედრო ტაძრის დეკანოზი ნიკოლოზ ბერეკაშვილი.

შემდეგ ისევ ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოს გაბრიელის სახელზეა დაწერილი „უმდაბლესი თხოვნა“.

„ბავშვობიდანვე შთანერგილი მაქვს ღვთისმსახურება და ბერმონაზონობა, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ ინებოთ ჩემი აღკვეცა მცირე სქემაში და მიბოძოთ სახელი წმიდა გაბრიელ ათონელისა, მორჩილი თქვენი მეუფებისა“.

ეს თხოვნა ეპისკოპოსმა გაბრიელმა შეინწყნარა და მიმართა მალაწოდის არქიმანდრიტ გიორგის, „სქემა უკურთხოს აღსარებითურთ მამა გოდერძის და თანახმად მისი სურვილისა ეწოდოს წმინდა ღირს მამა გაბრიელ ათონელის სახელი“.

1955 წლის 27 თებერვალს მონამეთას მონასტერში, ყოვლადუსამღვდელოესი ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსის გაბრიელის ხელდასხმით და არქიმანდრიტ გიორგის (დადიანი, რომელიც მოკლეს 1964 წელს, შიომღვიმის მონასტერში და დაკრძალულია სამთავროს წმიდანინოს დედათა მონასტერში) მონაწილეობით მოხდა ბერმონაზვნად აღკვეცა გოდერძი ურგებაძისა, ეწოდა სახელი გაბრიელი, თანახმად მისი სურვილისა.

აღკვეციდან რამდენიმე დღეში მღვდელმთავარ გაბრიელის კურთხევით გაიცა ბრძანება:

„მღვდელ-მონაზონი გაბრიელი (გ. ურგებაძე) დაინიშნოს სათანადო მომზადების შემდეგ მეორე მღვდლის ადგილზე, აქჟამად თავისი ხელფასით. ვანდობ კანდელაკს დეკანოზ ნიკოლოზ ბერეკაშვილს და ა. ბალანჩივაძეს გაუწიონ ყოველგვარი დახმარება და ხელმძღვანელობა დროულად მომზადებაში, რათა ამთავითვე შეაჩვიონ მღვდელმოქმედებას თანდათანობით“.

ყოველივე ეს 1955 წლის 17 მარტს ეუწყა მის უწმინდესობას მეღქმისედებს.

გაკვირვებას იწვევს, შეტყობინების ამფურცელზე მინერილი ცნობა:

„მღვდელ-მონაზონმა ურგებაძე გაბრიელმა (იგივე გოდერძი) ვასილის-ძემ 1956 წლის იანვარში

დატოვა მღვდელ-მონაზონობა და წავიდა საერო სამსახურში.

საქართველოს საკათოლიკოსოს მდივანი პ. გაგოშიძე.

საინტერესოა მამა გაბრიელის მიერ დაწერილ ღვთისმსახურების მიტოვებასთან დაკავშირებულ განცხადებაზე ეპისკოპოსი გაბრიელის წარწერა:

„...მართალია იჩენდა მამა გაბრიელი მუყაითობას, მორჩილებას, უანგარობას, საქმისადმი ერთგულებას, მაგრამ რადგან ავადმყოფობა ჰქონდა ქრონიკული შიზოფრენია, სამწუხაროდ, სწორედ მაშინ იჩინა თავი, როდესაც გაიმართა წირვა-ლოცვის წესების შესრულებაში... მაგრამ რადგან მაინც ეკლესიას შეაფარა თავი სიონში, ამიტომ პირადი საქმე ჩაბარდეს საკათალიკოსოს სამდივნოს“.

1955 წლის 29 აგვისტოს საქართველოს საპატრიარქოდან მიტროპოლიტ გაბრიელს ეგზავნება შემდეგი შინაარსის საპასუხო წერილი:

„...პატივისცემით გიბრუნებთ საქართველო კანცელარიაში დასაცავად და შესანახად ყოფილი მღვდელ-მონაზონ გაბრიელის - გოდერძი ურგებაძის საქმეებს.

რადგან თქვენი ხელდასხმულია და დაყენებული, ამიტომ თქვენ კანცელარიაში უნდა ინახებოდეს.

პატრიარქის მდივანი პ. გაგოშიძე“.

ასე დაიწყო მამა გაბრიელის პირადმა საქმეებმა მოგზაურობა დასავლეთიდან აღმოსავლეთში და პირიქით.

გაკვირვებას იწვევს მამა გაბრიელის მიერ ჯერ ღვთისმსახურების მიტოვებასთან დაკავშირებული განცხადება: „გთხოვთ გამიშვათ სამსახურიდან“ და შემდეგ კი აზრობრივად მისი გამომრიცხველი განხცადებები:

„ნუ დამტოვებთ ქუჩაში...“

„გთხოვთ დამნიშნოთ მე უადგილო მღვდელ-მონაზონი...“

„გთხოვთ ბერობას სვეტიცხოველში...“ და ა.შ.

1955 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მეღქმისედეკი ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსს შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნის:

„მალაყოვლადუსამღვდელოესო გაბრიელ, გვაკურთხეთ.

ამის მომტანს გოდერძი ურგებაძეს იცნობთ, რასაკვირველია, მას თქვენგან აქვს აკრძალული

(გაგრძელება მე-9 გვ.)



(მე-8 გვერდიდან)

მღველმოქმედება. გთხოვთ, ახსენით აკრძალვა, ვგონებ ისეთი რომ არ ჩაუდენია, რომ სამუდამოდ აკრძალვის ქვეშ იყოს. გთხოვთ უსათუოდ გაანთავისუფლოთ.

სიყვარულით კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკი.

გთხოვთ გამოგვიგზავნოთ განთავისუფლების საბუთი“.

უდავოდ გაგაოცებს პატრიარქის მიერ ამ პატარა წერილში ხაზგასმით სამჯერ აღნიშნული ერთი და იგივე თხოვნა, რაც მის თბილ განწყობას ადასტურებს მამა გაბრიელისადმი.

არც გაბრიელ ეპისკოპოსი იჩენს ბერისადმი გულგრილობას. ეს შესამჩნევად ჩანს მისი პასუხიდან:

„უნმინდესო და უნეტარესო მეუფეო, აღსრულედეს კეთილი და მამობრივი სურვილი თქვენი უნმინდესობისა, დღესვე შეუდგეს მღვდელმოქმედებას.

მიტროპოლიტი გაბრიელი“.

აქვე წარმოგიდგენთ ბერი გაბრიელის დის, ქალბატონ ჯულიეტას მოგონებას, რომელიც ამ დროის ამსახველია:

„მოვიხილავდა სახლში, დაიჩოქებდა თავისი ხელით აშენებული ეკლესიის წინ და დაიწყებდა გოდებას: უფალო, შენს სადიდებლად აშენებული ეკლესია მე როგორ დავანგრეო?“

ამავე დროს ეხება მონაზონ ნინოს (ფეიქრიშვილი) მოგონება:

„მამა გაბრიელის კარის ეკლესიაში მივედი, უფლის ხატის წინ იყო დაჩოქილი და ტიროდა. ჩემი შესვლა არ გამოპარვია, შემოტრიალდა და ცრემლებით მითხრა: „უფლისად არს ქვეყანად და სავსებად მისი“. იცოდე მისი დამანგრეველი დაინვება და განადგურდება“.

ეს ყველაფერი იმ დროს ხდებოდა, როცა ადამ და ევას ურჩობის გამო ისედაც დაცემულ კაცობრიობას თავს დაატყდა სათავეში მოხვედრილ უღმრთოთა რისხვა. სატანისაგან შეპყრობილნი ფიზიკურად ანადგურებდნენ ღვთისმსახურებს, იმის შიშით, რომ არ შეერყიათ მათი ძირმომპალი ნყოფა.

ამის დასტურია ბეთანიის მეთვალყურის, 1907 წელს დაბადებული ვანო წიკლაურის მოგონება, რომელსაც ბეთანიის მონასტერში მამა იოანემ (მაისურაძე) უამბო:

„მონასტერში ვიყავით. მოვიდნენ სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილები და გვითხრეს მცხეთაში უნდა წავიდეთო. გაგვრეკეს წინ, მაშინვე მივხვდით, რომ კარგს არ

მოასწავებდა მათი ეს ქმედება, მაგრამ რალას ვიზამდით. გავიარეთ თუ არა ცოტა მანძილი, გვესროლეს ზურგში, მათ მკედრები ვეგონეთ და ზედმეტი ტყვია აღარ დახარჯეს. ღმერთმა გვიხსნა და ორივენი გადავარჩით.

ამის შემდეგ გაიარა ცოტა ხანმა. ჩვენთან რამდენიმე კაცი კიდევ მოვიდა. ტაძარში მხოლოდ ორი სანთელი ენთო. გაგვლანძღეს, დაგვიწყეს ყვირილი, რას გაგინახჩახებიათ ეკლესიაო. მერე გაგვკრიჭეს, მასხრად აგვიგდეს. გულს ის გვიმაგრებდა, რომ ხალხი ჩუმად მუდამ პატივს გვცემდა. ღვთის სიყვარული მუდამ იგრძნობოდა მათში. იგი მხოლოდ სათავეში მოხვედრილ სატანისეულებს არ სწამდათ“.

ასეთი იყო გარემოცვა, როდესაც მამა გაბრიელმა მინისტრთა საბჭოს შენობაზე გაკრული ლენინის 12-მეტრიანი სურათი დანვა. ეს 1965 წლის 1 მაისს მოხდა. იგი დააპატიმრა სახელმწიფო უშიშროების საგამომიებლო განყოფილებამ 71-ე მუხლის 1 ნაწილით და თბილისის №1 იზოლატორში შეასახლა იმავე წლის 12 მაისს. მისადაგებული მუხლი ითვალისწინებდა ანტისაბჭოურ პროპაგანდას.

სამწუხაროდ, მამა გაბრიელის პირადი საქმე, რომელშიც მისი საპატიმროში ქმედება იქნებოდა ასახული, განადგურდა 1978 წლის 20 ოქტომბერს. დამადასტურებელი საბუთი გაცემულია თბილისის №5 საპყრობილის სპეცნაწილის მიერ 2001 წლის 14 მაისს.

დაკითხვისას მან განაცხადა: „ეს ჩავიდინე იმისთვის, რომ იქ უნდა ეკიდოს ქრისტეს ჯვარცმა და არა ლენინის სურათი. მიწიერი ადამიანის გაღმერთება არ შეიძლება, რას დაგინერიათ „დიდება ლენინის“, კაცს რად უნდა დიდება, უნდა ეწეროს: „დიდება ქრისტეს ღმერთს“. ამ სიტყვებმა საგამომიებო ორგანოებში ეჭვი დაბადა, რის გამოც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1965 წლის 3 აგვისტოს განჩინებით, გადაგზავნილ იქნა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ექსპერტიზაზე, სადაც ბერმა დაჰყო 1965 წლის 3 აგვისტოდან 12 ოქტომბრამდე.

ინტერესმოკლებული არ იქნება გაგაცნოთ ამონაწერი მისი ავადმყოფობის ისტორიიდან, რომელიც გაცემულია 1966 წლის 19 იანვარს.

„...დიაგნოზი: ფსიქოპათიური პიროვნება, მიდრეკილი შიზოფრენიის მაგვარი ფსიქოზური ჩავარდ-

ნებით... თავისთვის ბუტბუტებს დაბალი ხმით, სწამს არსებობა ზეციური არსისა, ღმერთისა, ანგელოზებისა. საუბრისას ძირითადი ღერძი ყოველთვის იქითკენაა მიმართული, რომ ღმერთის წყალობითაა ყველაფერი. განყოფილებაში განმარტოვებულა, თუ კი ვინმე გამოელაპარაკა, უსათუოდ უხსენებს ღმერთს, ანგელოზებს, ხატებს“.

სრულიად ნათელია რა იყო საფუძველი ბნელი ჟამის ათეისტური მთავრობისათვის, რომ ღვთისმსახური ავადმყოფად შეერაცხათ, თუმცა ზოგი ჭირი მარგებელიაო, სწორედ ამ შემთხვევაზე იტყვიან, ყოველივე ამან იხსნა ბერი დახვრეტისაგან. იგი 24 საათში უნდა დაესაჯათ, მაგრამ ღმერთმა იხსნა თავისი ერთგული მონა მტარვალთაგან და სიკვდილს გადაარჩინა, რათა ხალხისათვის სწორი გზის მიმნიშნებელი შეენარჩუნებინა.

მამა გაბრიელის ღრმა რწმენის დასტურია კიდევ ერთი მოგონება, რომელიც რაფიელ კობაჩიშვილის ვაჟს - გიას - ეკუთვნის: „ჩვენ მამა გაბრიელის მეზობლად ვცხოვრობდით, პატარა ბიჭებს აგვიყოლიებდა ხოლმე, დაგვირიგებდა ჯვრებს და წმიდა ბარბარეს ეკლესიის გარშემო გვატარებდა. ერთხელ რალაც საოცარი გამომეტყველებით თვალეში ჩამხედა და მითხრა: გახსოვდეს მუდამ, ღმერთი არის! თქვა თუ არა ეს სიტყვები, წაიქცა და თავი დაარტყა მიწას. ხელეებს იქნევდა, სულელურად იქცეოდა. მიუხედავად მისი ასეთი საქციელისა, მე მაშინვე მივხვდი, რომ იგი სულაც არ იყო სულელი. მან რწმენით ნათქვამი ორი სიტყვით ღმერთის სიყვარული სამუდამოდ დაამკვიდრა ჩემში, ამას ისიც დაემატა, რომ ჩემს ოჯახს შემოსწირა უფლის ხატი, ჩაკეტილი ჩარჩოთი. ეს იყო სამოცდაათიან წლებში. როცა ოჯახს გასაჭირი ელის, უფლის ხატი იხსნება თავისით და გვიხსნის ყოველგვარი განსაცდელისაგან, რისთვისაც მუხლმოდრეკით ვმადლობთ უფალს და მისი ხატის ჩვენს სახლში მომბრძანებელს - მამა გაბრიელს“.

უღმერთოების პერიოდის ხელისუფლებამ, რომელიც მას თან სდევდა დაბადებიდან თითქმის გარდაცვალებამდე, მრავალჯერ ატკინა გული. მიუხედავად ამისა, განკითხვა არავისი წამოსცდენია, მათიც კი, ვინც ლენინის სურათის დანვის გამო საშინლად სცემა.

(გაგრძელება მე-10 გვ.)

(მე-9 გვერდიდან)

აი, რას წერს სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარი - ილუმენია ქეთევანი (კოპალიანი), ბერისადმი მიძღვნილ მოგონებაში:

„მამა გაბრიელი მოყვასის განკითხვას სასტიკად გვიკრძალავდა და ასე გვმოძღვრავდა: „დალა-ცათუ იხილო კაცის მკვლელი, გინა მეძავი, გინა ლოთი მიწაზე ეგდოს, ნურავის განიკითხავ დაბადებულსა ღვთისასა, რამეთუ მათი სადავეები უფალს მიშვებული აქვს, შენი სადავეები ხელში უჭირავს, რომ მიგიშვას, უარეს დღეში ჩავარდები და დაიღუპები, როგორც ძაფმა უნდა გაიაროს ნემსის ყუნწში, ისე უნდა გაიაროს ცოდვაში, რაშიც განიკითხავ სხვას“.

იოანე ზედაზნელის მამათა მონასტრის ღვთისმსახური - ბერი სვიმონი (აბრამიშვილი) ასეთ შეფასებას აძლევს მამა გაბრიელს: „არქიმანდრიტი გაბრიელი იყო ყველა ბერი ერთად აღებული, შეეძლო ყველას სიყვარული ეტვირთა და გაემრავლებინა“.

მიუხედავად იმისა, რომ მამა გაბრიელი ყოველთვის ცდილობდა სალოსური ქმედებით დაეფარა სიბრძნე, ირგვლივმოყვანი მანც გრძნობდნენ მასში ღვთისაგან ბოძებულ უდიდეს მადლს.

თუმცა იყვნენ ისეთებიც, მის ღმერთშემოსილებას რომ არ აღიარებდნენ. მაშინ, როცა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ბერს საკმაო პატივს სცემდნენ.

ჯერ კიდევ 90-იან წლებში მამა გაბრიელის სულიერი ცხოვრებით დაინტერესდა მოსკოველი მკვლევარი, ვალერია ალფეევა. იგი შეხვდა ბერს, გაეცნო მის ცხოვრებას და გამოსცა წიგნი: „წოდებულნი, მორწმუნენი, რჩეულნი“, სადაც საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს მამა გაბრიელის მოღვაწეობის აღწერას. ავტორი მას რჩეულთა რიცხვს მიაკუთვნებს (წიგნი ქართულად გამოსცა ოთარ ნიკოლაიშვილმა).

1991 წელს ამერიკის ერთ-ერთი მონასტრის, „ღირსი მამა გერმანე ალიასკელის ძმობის“ წევრების საქართველოში სტუმრობის ძირითადი მიზანი, როგორც თავად აღნიშნავენ, გაბრიელ ბერთან შეხვედრა იყო.

ამ ძმობის ერთ-ერთი წევრი, მღვდელ-მონაზონი გერასიმე წერს:

„ღვთისმსახურთა შორის, არქიმანდრიტი გაბრიელი, არის საქართველოს თანამედროვე გმირი, ქართული ეკლესიის ცოცხალი მე-

მატიანე, სულიერი მამა და თავისი დროის ლეგენდა... რომელმაც გადაიტანა გაუგონარი წამება, დევნა ქრისტიანთა და მანც ცოცხალი დარჩა. ის აგრძელებდა სიცოცხლეს, რათა მოწმე ყოფილიყო ნათლისა... არ ტოვებდა საქართველოს ტანჯულ ეკლესიას უმძიმეს წლებში“.

სწორედ რომ საოცარი სისპეტაკით ასრულებდა ბერი გაბრიელი სალოსის მსოფლმხედველობით ქრისტიანული მოძღვრების ყველა მოთხოვნას, რომელსაც უფლისა და მოყვასის სიყვარული მიუძღოდა კელაპტრად, სიყვარული, რისი უპირატესობაც შესანიშნავად არის გადმოცემული პავლე მოციქულის წერილში: „წინასწარმეტყველება რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნაც რომ ვუწყოდე, სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შეემძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი“.

ასეთი მრწამსით განვლო ბერმა ღვთისაგან ბოძებული სიცოცხლე, რომლის ბოლო დღე გახლდათ 1995 წლის 2 ნოემბერი, დღით ოთხშაბათი. დილიდანვე მის სენაკში შეიკრიბნენ ახლობლები, ოჯახის წევრები, სამთავროს დედათა მონასტრის დედეები და დები. მამა საბამ (კუჭავა), მონასტრის სულიერმა მოძღვარმა, რომელიც ბოლო ოთხი წლის მანძილზე აზიარებდა მამა გაბრიელს, რამდენიმე პარაკლისი გადაუხადა.

ამ დღეს შემდეგნაირად იგონებს შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარი და სამთავროს დედათა მონასტრის სულიერი მოძღვარი, არქიმანდრიტი მიქაელი (გაბრიჭიძე):

„საპატრიარქოში ვიყავით, როცა გავიგეთ მამა გაბრიელის ამბავი. კათოლიკოს-პატრიარქმა მაშინვე აკურთხა ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი, დღეს უკვე მიტროპოლიტი დანიელი, წაეკითხა მისთვის ლოცვები. იმნამსვე გავემგზავრეთ სამთავროში. გზაში მანქანა გაგვიფუჭდა და მხოლოდ ხუთი წუთი შეეფერხდით, ძალიან შევწუხდით, მეუფეს ვკითხე: ნუთუ ცოცხალს ვერ მივუსწრებთ-მეთქი. მან ასეთი პასუხი გამცა: ბერი იმხელა ღვთისმსახური იყო, ღმერთი ისე არ გაიყვანს თუ მღვდელმთავარი არ მივაო. მართლაც ცოცხალს მივუსწარით. მეუფემ ლოცვების კითხვა დაამთავრა თუ არა, მამა გაბრიელმა მაშინვე განუტყვა სული“.

მეუფე დანიელმა და მისმა მკურნალმა ექიმმა - ზურაბ ვარაზაშვილ-

მა - შემოსეს იგი იმ ქვეყნისათვის და მისი ცხედარი კოშკიდან გადაასვენეს სამთავროს ფერისცვალების ტაძარში.

მონაზვნებმა ერთხმად აღიარეს: თუ გადაიტანდნენ მამა გაბრიელის გარდაცვალებას, ვერ წარმოედგინათ, იმდენად უყვარდათ, მაგრამ სწორედ იმ დღეს მოხდა სასწაული, ისეთი საზეიმო განწყობა დაუფლათ, გასაოცარი. ყველამ იგრძნო მამა გაბრიელის მეოხება.

მეორე დღეს მობრძანდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომელმაც გადაუხადა პანაშვიდი.

დადგა მისი დაკრძალვის დღე. ანდერძისაებრ, იგი ჭილოვში გაახვიეს, საფლავეში სათუთად ჩაასვენეს, მაგრამ მიწის მიყრა ვერავინ შეძლო. ბოლოს ასეთი რამ მოისაზრეს; გაცრილი მიწა სააფლავის კიდეებს ნელ-ნელა მიაყარეს და როცა მიწა მის ცხედარს ასცილდა, თვითონვე დაიწყო გადაფარება ნაზად და სათუთად, ისეთივე სიყვარულით ჩაიკრა გულში იმავე მიწის ერთგული შვილი, რა სიყვარულითაც უყვარდა მამა გაბრიელს თავის სამშობლოს მიწა-წყალი.

ასე ლამაზად და სათნოდ მიეახლა არქიმანდრიტი გაბრიელის სული ღმერთს და ხორცი მიწას. გავიდა ამ სოფლიდან ქრიტესა და მოყვასის უბადლო სიყვარულით აღვსილი სალოსი, მამხილებელი ხშირად და არასდროს განმკითხავი, მრავალნატანჯი და გულნატკენი ღვთისმსახური.

ღმერთმა მას დიდი ერთგულები-სა და უკიდევანო რწმენისათვის გარდაცვალების შემდეგაც დაუტოვა კურნების ძალა. ამიტომაც რომ დაუსრულებლად მოედინება მავანი და მავანი სამთავროს მონასტერში და მისი კანდელის ზეთის კურნებით კმაყოფილი, მიჰყვებათ მადლი იმ მიწისა, სადაც თოთხმეტი წლის წმიდა ნინომ დაისადგურა. ეს მაყვლოვანი გახლავთ, მამა გაბრიელის უსაყვარლესი ადგილი. ნატერფალი ქრისტიანობის მადლის მომფენისა.

მრავალნი მოედინებია უცხო ქვეყნებიდანაც და ასეც ხდება, რომ მის მიმართ მადლიერებას და პატივისცემას, ჩვენდა გასაკვირად, ქართულ ენაზე შესრულებული საეკლესიო საგალობლებით გამოხატავენ.

**წიგნიდან: „ბერის დიადემა“**

**სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი, თბილისი, 2003 წ.**

# ჭანჭანჭაუისი „სამხატვრო-მუსიკალური დიპლომის“ ხელშეწყობა




## „ჩემი ადვანსი“ – 2014





# სამთავრო

ISSN 2298-0865



9 772298 086004 >

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),  
ლია სენიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა  
პასუხისმგებელი რედაქტორი ციციანო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“

მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 293-17-20, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი